



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბიღ ბუქ-  
უბი სიფყავა, ფუილუბით და ჭბრბით ბუბ-  
თის გაფანა ყულა უკადრისბაზუ უსაბაგლსია.

ბაგოდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

სამშაბათი, 11 სექტემბერი. 2018 წ. №178 (8579)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

## ამოგრივად, არ იგულგავინყო ბოროტმოქმედ ნაციონალთა სხრანლიანი ჯოჯოსეთი!

რა ხდება აჭარაში?!

ნუ ვაქცავთ  
ქვეყანას ③  
უკატრონო  
ეკლესიად!..

აფსაზეთი  
ლტოლვილებს  
გულთბილად ⑧  
იღებს და მათ  
ქართულების ყოფილ  
სახსოვრებულ  
სახლებს სთავაზობს

სანვაპი  
საქართველოში  
ასეთი ძვირი  
არასდროს  
ყოფილა! ④

ვებრძობთ კი  
სიკვდილს?!

„შეიძლება, იყო კარგი  
ეპიფი. მებრავ. როდესაც  
ჯანდასჯის სისტემა არ  
გასმის. ვარ იქნები  
კარგი მინისტრი ან  
მინისტრის მოადგილე“ ⑥



ბეყე ვაშაძე გვაბოლებს –  
მე ვარო თქვენი მესია:  
ოთხას ლანამდე გაგიზრდით  
ასოთხმოციან პენსიას,  
„ოცნება“ მშვიფრებსა გბოცავთ,  
ეს რა მთავრობის წესია,  
თქვენც ის ფიქრები გაწუხებთ,

განსასჯელი სააკაშვილი  
განსასჯელივე ვაშაძის  
ან ბაქრაძის  
უკანალიდან ისევ  
აკირებს შემოქრომას!



### სიმღერა ოთხასლარიან პენსიაზე

რაც აწუხებდა სესიას...  
ის ნუ გაშინებთ ნუნავის,  
რაც აღრე დაგვითვისა;  
ნუთუ ვერ ხედავთ, ქართველნო,  
ქვეყანა რა შავ დღეშია?!  
ერთხელაც გაგიმეორებთ,  
მე ვარო თქვენი მესია,  
ამის დასტურად გეწებათ  
ოთხასი ლარი პენსია.

იცოდე, უნდა გიგანოთ!  
მიზეზი მილიონია –  
ცრუ ნაციონალთ არ გენდოთ,  
პრეზიდენტობას გერჩიოს  
ნინოსთან გაიბალებოთ!  
თქვენ ერთხელ უკვე „გვაჭამეთ“,  
ახლა ტყუილად მესიობთ,  
რათა მძარცველად ქვეყანას  
ხელახლა შემოესიოთ!

ამომრჩევლის მინამდრდი:  
ისემც რა გითხრა გრიგოლო,  
სიაფანდების გრიგალო,  
რაც უნდა ბევრი შეგვპირდე,

მოქმელი ალექსი მეჭიაური,  
მოგვაროდა მობილური  
ტელეფონით,  
დაბა თიანეთი.

## სალაპას უკბილო შაყირი

ერთი სიტყვით, ოქტომბერში, საპრეზიდენტო არჩევნებისას,  
როგორც იტყვიან, დედა შვილს არ აიყვანს საქართველოში.  
ავარდება ავი ცეცხლი, რომელიც დანთქავს მკვდარსაც და  
ცოცხალსაც, ანუ გუშინდელ გადაღრმობულ ნაცებსაც და  
სინდისგარეცხილ, მოღაველად ამუნიებსაც.  
ნაცები უკანასკნელი ბრძოლისთვის ემზადებიან სამკვდ-  
რო-სასიცოცხლოდ, ბოლმიანად, უსინდისოდ, რაც ცად აგაპყ-  
რობინებს თვალებს, ღმერთმა არ ქნას, რომ გაიმარჯვონო!  
ღმერთმა არ ქნას, გაიმარჯვონ ნაციონალებმა ზოგადად.  
ანუ – ევროპულმა საქართველომ და ერთიანმა ნაციონა-  
ლურმა მოძრაობამ.  
უფრო კონკრეტულად კი დავით ბაქრაძემ და გრიგოლ ვა-  
შაძემ.  
რადგან მათი გამარჯვება უკან დასწევს ქვეყანას;  
ახალი ძალით წამოაყვლელებს პოლიტიკურ უმნიფრო-  
ბას, ექსტრემიზმსა და ანგარიშსწორებას, გამოაცოცხლებს  
ბნელ ძალებს, რომლებიც ერთი ხანია, პოლიტიკურ მოუსავე-  
ლეთშია გადადენილი.  
ეს საზოგადოარი ფიქრები ამიშალა პრეზიდენტობის კანდი-  
დატების დავით ბაქრაძისა და გრიგოლ ვაშაძის არაკაცურმა,  
ბინძურმა, უკაცრული პასუხით, და პირუტყვულმა გალაშ-  
ქრებამ კიდევ ერთი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის წი-  
ნაღმდეგ.

მამაკაცები ასე არ იქცევიან!  
დიდი უბედურება გეჭირს: ნებისმიერი არჩევნები ჩვენში  
სრულიად ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ დედან ულია-  
ნად გალაშქრებისკენ მოგვინოდებს.  
ახლა, როცა „ქართულმა ოცნებამ“ ბოლოს და ბოლოს  
გამოაცხადა, საპრეზიდენტო ბრძოლაში მხარს დავუჭერ და-  
მოუკიდებელ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილსო, ნაცების  
კანდიდატებმა ჯაჭვები აიყარეს და მთელი მეხუთე კოლონაც  
აღერდეს.  
რას აღარ აბრალებენ ქალბატონ სალომეს, რას აღარ  
უნუნებენ, ფრანგულ აქცენტსაც კი!  
სელაპა გრიგოლ ვაშაძემ ისიც კი იკადრა, რომ ქალბა-  
ტონ სალომეს ქართული პროვინციალიზმისა(?) და ფრან-  
გული იდიოტიზმის(?) შერწყმა უნოდა.  
რატომ ღმერთი არ გაიცინებს: ეს ნინო ანანიაშვილის პუ-  
ანტი ვის უკიჟინებს პროვინციალიზმსა და იდიოტიზმს!  
მადლობა ღმერთს, ქალბატონ სალომეს სხვა ღირსებებ-  
თან ერთად, საკმაოდ მტკიცე ნერვები და თავშეკავების უნა-  
რიც აქვს. ახლა, როცა „ოცნების“ მხარდაჭერამ მკვეთრად  
გამოკვეთა მისი გამარჯვების შანსი, ეს თავშეკავება საი-  
მედო ნაბიჯია გამარჯვების გზაზე.

სანდრო ალექსიძე

# ახალი სტიპული ორი ქვეყნის ურთიერთობაში



**სამართლებელს** პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე სომხეთის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში პრეზიდენტ არმენ სარქისიანს შეხვდა.

მხარეებმა ორ ქვეყანას შორის მეგობრულ ურთიერთობებზე და სხვადასხვა სფეროში წარმატებულ თანამშრომლობაზე ისაუბრეს. ხაზი გაესვა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარების კუთხით არსებულ

პოტენციალს და აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას შეუწყობს ხელს მთავრობათა შორისი ეკონომიკური კომისია, რომლის მორიგი სხდომის გამართვა წლის ბოლომდე იგეგმება. სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტი ახალ სტიპულს მისცემს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განვითარებას. საუბრისას ყურადღება გამახვილდა განათლებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობაზე. მამუკა ბახტაძემ აღნიშნა, რომ საქართველო, ისევე, როგორც სომხეთი, წელს მნიშვნელოვან თარიღს – პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს უნიშნავს. მთავრობის მეთაურმა პრეზიდენტ სარქისიანს სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღე – 21 სექტემბერი წინასწარ მიულოცა.

## მამუკა ბახტაძე სომხეთის პრემიერ-მინისტრს შეხვდა

**სამართლებელს** პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ნიკოლ ფაშინიანს შეხვდა.

პირისპირ გამართული შეხვედრისას მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებულ კეთილშობილურ ურთიერთობებზე ისაუბრეს, ხაზი გაესვა სხვადასხვა სფეროში საქართველოსა და სომხეთის თანამშრომლობას. ნიკოლ ფაშინიანმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს თანამდებობაზე დანიშნა მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ მისი ოფიციალური ვიზიტი სომხეთში ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების კიდევ უფრო განვითარებას.

პირისპირ შეხვედრის შემდეგ, სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის სახლში ორი ქვეყნის მთავრობის წევრების მონაწილეობით გაფართოებული ფორმატის მოლაპარაკებები გაიმართა. მხარეებმა საქართველოსა და სომხეთს შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების კიდევ უფრო გაღრმავების პოტენციალზე ისაუბრეს, განიხილეს ასევე ტურიზმისა და ენერჯეტიკის სფეროებში თანამშრომლობის საკითხები.

ქართულმა მხარემ გამოთქვა მზადყოფნა, მეგობრებს წარმატებული რეფორმების გამოცდილება გაუზიაროს. გაფართოებული ფორმატის შეხვედრას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ვოლსკი და „საქარ-

თველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელი დავით ფერაძე დაესწრნენ.

## „ქართული ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნებზე სალომე ზურაბიშვილს დაუჭერს მხარს

რომშიც პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა, სალომე ზურაბიშვილს ზურგს უმაგრებს დიდი პოლიტიკური გამოცდილება, ასევე დიპლომატიური გამოცდილება.

„მას შეუძლია გახდეს საქართველოს ისტორიაში პირველი ზეპარტიული პრეზიდენტი. ვფიქრობთ, რომ სალომე ზურაბიშვილს შეუძლია დაამკვიდროს ახალი ტრადიცია ჩვენს კონსტიტუციურ სისტემაში. მას შეუძლია პრეზიდენტის უფლებამოსილებები განახორციელოს არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან ჯგუფის, არამედ ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესებზე დაყრდნობით. ქართველ საზოგადოებას მოვუწოდებ, საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე მხარს დაუჭიროს ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურას“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## გამართლდა მოლოდინი, ქალიან გახსარებული ვარ



ასე შეაფასა პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა „ქართული ოცნების“ გადამწყვეტილება. მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება მმართველი პარტიისთვისაც სწორი და დემოკრატიულია.

„გამართლდა მოლოდინი. ძალიან გახარებული ვარ ამ საღამოს. ასევე მადლიერი ვარ ამ მხარდაჭერისთვის, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია.

ცხადია, ჩემთვის ძალიან დადებითი გადაწყვეტილებაა. ვფიქრობ, მმართველი პარტიისთვისაც სწორი და დემოკრატიულია. ეს არის ქვეყნისთვის ძალიან სწორი გადაწყვეტილება. უკვე დღეიდან, ამ საღამოს მსგავსად ველოდები გამარჯვებას“, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

## მაქსიმალურად გამოვიყენებთ ყველა რესურსს, რათა საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილმა გაიმარჯვოს

– ამის შესახებ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, სალომე ზურაბიშვილს გარდა იმისა, რომ აქვს უნიკალური გამოცდილება, ის არის ძალიან პრინციპული ადამიანი.

„საპრეზიდენტო არჩევნებში კარს არის მომდგარი და ვიმსჯელებთ, რა ფორმით ჩავერთვებით ამ არჩევნებში. ეს ყველაფერი კანონმდებლობის ფარგლებში მოხდება. რადგან განვაცხადეთ, რომ მხარს დაუჭერთ სა-

ლომე ზურაბიშვილს, მაქსიმალურად გამოვიყენებთ ჩვენ ხელთ არსებულ ადამიანურ თუ სხვა რესურსს იმისთვის, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ქალბატონმა სალომემ გაიმარჯვოს.

ზურაბიშვილი, ზოგადად აზრთა სხვადასხვაობა იყო, თუმცა ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და ჩვენ ერთიან პოზიციებს დავიცავთ“, – განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

ცნობისთვის, „ქართული ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნებზე სალომე ზურაბიშვილს დაუჭერს მხარს.

## პრეზიდენტის ავლარის რეზიდენციაში სიის აურა და ჰაჰა არ მიხდება!

მთვლი, რომ აურა, რომელიც არის პრეზიდენტის ავლარის რეზიდენციაში, მე არ მიხდება, არც აურა და არც ჰაჰა, – ამის შესახებ პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა „იმედის კვირაში“ განაცხადა.

მისი თქმით, მისი სახლიდან ძალიან ახლოს არის ათონელის რეზიდენცია და „ფეხით შეიძლება გადასვლა და მერე აქვე დაბრუნება“. მისივე თქმით, ორბელიანის სასახლე ბევრად უფრო უხდება ქვეყანას, ვიდრე ფსევდო რაისსტაგი – მიშას მიერ მოფიქრებული.

## მაია მიმინოშვილი, თამარ სანიკიძე, ლია გიგაური და თამარ მურღულია თანამდებობიდან გათავისუფლდნენ

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი თამარ სანიკიძე, მოქალაქის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი, პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი მაჩაბელი და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ლია გიგაური და თემურ მურღულია, ასევე ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენდირექტორი მანანა მიქაბერიძე მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა თანამდებობიდან გაათავისუფლა.

„მივიღეთ გადაწყვეტილება და თანამდებობას ტოვებენ მინისტრის მოადგილეები თემურ მურღულია, ლია გიგაური, ასევე თამარ სანიკიძე, გიორგი მაჩაბელი, მანანა მიქაბერიძე, მაია მიმინოშვილი“, – განაცხადა მინისტრმა.

როგორც მინისტრმა ბრიფინგზე განაცხადა, სისტემაში საკადრო ცვლილებები გაგრძელდება. მაია მიმინოშვილი 2002-2007 წელს. სათავეში ედგა მოქალაქის ეროვნული ცენტრის, ხოლო 2007 წელს დანიშნა განათლებისა და მეცნიერების მინისტრად. 2008 წლიდან კვლავ გამოცდების ეროვნულ ცენტრს ხელმძღვანელობდა.



### დღეს – სვალისთვის

**უაღრესად საგულისხმო კონფერენციას** მასპინძლობდა გასული კვირის მეორე ნახევარში საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დიდი საგამოფენო დარბაზი, რომლის ორგანიზატორი საერთაშორისო ფონდი „ახალი თბილისი“ (დამფუძნებელი და პრეზიდენტი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე **თამაზ ბიბილური**) და ფაზისის სამეცნიერო აკადემია გახლდათ.

სამდღიანი ფორუმის ფარგლებში განიხილეს უძველეს აბრეშუმის გზასთან დაკავშირებული ცნობილი ტრასეკას პროექტის განხორციელებისა და თანამედროვე მდგომარეობასთან დაკავშირებული მთელი რიგი საერთაშორისო, სამეცნიერო და აქტუალური პრაქტიკუ-

## აბრეშუმის გზა, თბილისის გავლით...

ლი საკითხი. მეტად ფართო იყო თემატური პალიტრა, რომელიც ეკოლოგიის, მედიცინის, ტურიზმის, დემოგრაფიის, სტიქიურ საფრთხეებთან, ნარკოტრაფიკსა და ნარკომანიასთან, ასევე მთელ რიგ სხვა პრობლემასთან იყო დაკავშირებული.

კონფერენციის ფარგლებში მოენყოფნა „ახალი თბილისის“ მოღვაწეობის, ასევე ქართული და აფხაზი ხალხების მეგობრობის ზემოთ ამსახველი ფოტოგამოფენები. დოკუმენტური ფოტომასა-

ლის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო თბილისში მდინარე ვერეს ხეობაში ბოლოდროინდელი წყალდიდობის შედეგების, აგრეთვე სპიტიაკისა და ლენინაკანის მიწისძვრების 40 წლისთავთან დაკავშირებულ კადრებს.

კონფერენციის მუშაობა „ახალი თბილისის“ თავკაცმა თამაზ ბიბილურმა შეაჯამა, რომელმაც მრავალ სხვა მნიშვნელოვან საკითხთან ერთად ყურადღება გაამახვილა მდინარე ვერეს ხეობაში ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ ტერიტორიის კა-

ტასტროფულ შემცირებაზე, რაც იქ საშუალო მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთების გასხვისების ხარჯზე ხდება და რაც, სავსებით მოსალოდნელია იმ შემთხვევაში, რომელსაც კიდევ ერთი წყალდიდობის შემთხვევაში დედაქალაქის ამ ცენტრალურ უბანს უქადის.

ზოგადად კი, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციაზე განხილული ეს და მრავალი სხვა საკითხი, თბილისისა და თბილისელთათვის, ზოგადად საქართველოს მოსახლეობისთვის სამომავლოდ სასიცოცხლოდ იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათ შეესაბამება უფრო დეტალური საუბარი ახლო მომავალში გვექნება.

ოთარ ტურაბალიძე













# ერიკ სიომი: მკაცრად უნდა განვიხილოთ მთელი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) ხელმძღვანელად საქართველოში 2017 წელს დაინიშნა. იგი პროფესიული დიპლომატია, ადრე დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა. EUMM-ის მისიის მანდატი ამჟამად მთელ საქართველოზე ვრცელდება, მაგრამ „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება უარს აცხადებს, დაუშვას მისიის წევრები მათი კონტროლის ქვეშ არსებულ გერიგორიამზე“.

El Mundo-ს კორესპონდენტი ჰავეიერ კოლასი EUMM-ის მისიის მეთაურს მრძე ხომალს ესაუბრება.

„არს იტყვიოთ „საზღვრების“ ახალ მონიშვნებზე? - ამჟამინდელი მდგომარეობით, სადემარკაციო ხაზის გასწვრივ სასაზღვრო ბარიერები და მავთულხლართები უკვე არსებობს აფხაზეთთან მიმართებით - 32 კილომეტრზე და სამხრეთ ოსეთთან - 58 კილომეტრზე. ისინი რუსმა და ოსმა მესაზღვრეებმა დააყენეს მათივე უსაფრთხოების ძალების მონაწილეობით. ამ ბარიერებით იზღუდება ადამიანთა მოძრაობა აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებისა და საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებს შორის. ცხადია, ეს ყველაფერი ნე-

გატიურად მოქმედებს ადგილობრივ მოსახლეობაზე, მათ პრობლემები ექმნებათ განათლების მიღების, სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფაში, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში... გარდა ამისა, მავთულხლართებით ოჯახებიცაა გაყოფილი.

რობოთ იმ ადამიანებთან, რომლებიც ადმინისტრაციულ-სადემარკაციო ხაზზე გადმოდიან და ამრიგად, საქმის კურსში ვართ, რა ხდება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. კიდევ ერთი პრობლემაა რუსი სამხედრო მოსამსახურეებისა და რუსული სამხედრო ბაზების არსებობა როგორც სამხრეთ ოსეთში, ასევე აფხაზეთში, რაც 2008 წლის აგვისტოს შეთანხმების დარღვევას წარმოადგენს.

თარდებოდა მოვლენები EUMM-ის მისიის გარეშე. აქედან გამომდინარე, ის, რომ სამხედრო კონფლიქტი ხელახლა არ დაიწყო, შეიძლება სერიოზულ მიღწევად ჩაითვალოს. ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების გადასაწყვეტად ჩვენ უზრუნველყოფილი ვართ პირდაპირი სატელეფონო კავშირით, რისი მუშაობითაც სადემარკაციო ხაზის ორივე მხარეს არსებული უსაფრთხოების ძალები ერთმანეთთან ინფორმაციებს უცვლიან და ამით ინციდენტებს არეგულირებენ მათი წარმომადგენლის მომენტისთანავე. ყველაზე მეტი ყურადღება ექცევა მოქალაქეების დაკავების ფაქტებს, ასევე სამედიცინო ტრანსპორტის მოძრაობის

უზრუნველყოფას. ამ შემთხვევაში პირდაპირ ხაზს შეიძლება „ადამიანების სიცოცხლის გადამარჩენელი“ კი ვუნოლოთ. ასევე უნდა ითქვას ინციდენტებზე რეაგირებისა და მათი თავიდან აცილების მექანიზმზეც, რომლის ჩარჩოებში სადემარკაციო ხაზის ორივე მხარეს არსებული ადმინისტრაციები ერთმანეთს პირადად ხვდებიან და უსაფრთხოების პრაქტიკულ საკითხებს აგვარებენ. მხარეთა წარმომადგენლების ყოველთვიურ თათბირებსაც თავისი წვლილი შეაქვს ნდობის განმტკიცებაში, თუმცა ამ შეხვედრებზე საკითხების განხილვა ხშირად საკმაოდ მწვავედ მიმდინარეობს ხოლმე.

„EL MUNDO“ (შპსაგრო)

## ქართველების სახლები უსხრეულ ღბოლვილთათვის!

„აფხაზეთში სირიელ ღბოლვილებს ხელგაშლილად იღებენ. ბევრი მათგანი იმ აფხაზების შთამომავალია, რომლებიც რუსეთის იმპერიიდან კავკასიის ომების დროს, მე-19 საუკუნეში გაიქცნენ და სირიაში დასახლდნენ. დღეს ისინი ომის ცენტლში მოცული სირიიდან თავიანთ ისტორიულ სამშობლოში ბრუნდებიან, თუმცა აქ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებსაც შეხვედრებით“, - წერს ჩეხი ჟურნალისტი პეტრა პროხაზკოვა, რომელიც სოხუმში ერთ-ერთ რეპორტაჟს ავლენს ასევე (მუშაობაზე) ზულგაის ესაუბრება. იგი რუსულ ენაზე გაჭირვებით ლაპარაკობს - ეტყობა, ახლახან შეისწავლა, ინგლისური ენა კი შედარებით კარგად იცის. ასევე ზულგაის ქაბულში უმაღლესი ტექნიკური განათლება აქვს მიღებული, მამამისს კი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს უსწავლია მოსკოვში. „სწორედ მამაჩემის წყალობით მოხვდები აფხაზეთში“, - ეუბნება ასევე ზულგაი ჩეხ ჟურნალისტს.

## აფხაზეთი ღბოლვილას გულთბილად იღებს და მათ ქართველების ყოფილ სასხოვრებალ სახლებს სთავაზობს



ციით იღებს, მაგრამ მაინც თავისებური სპეციფიკით. საქართველოსთან კონფლიქტის შემდეგ აფხაზეთი თითქმის ნახევარმია მილიონმა (ქართულმა) მოსახლემ დატოვა. სწორედ მაშინ დაიწყო სოხუმში მრავალრიცხოვანი დიასპორისადმი მოსოფლები სამშობლოში დასაბრუნებლად: თურქეთში, იორდანიაში, სირიაში, ეგვიპტეში, აშშ-სა და კანადაში ამჟამად თითქმის 1 მილიონამდე აფხაზი ცხოვრობს, მაგრამ იმ წლებში აფხაზეთში დასაბრუნებლად დიდი აქტიურობა მაინცდამაინც არავის გამოუჩენია. აი, როცა სირიაში ომი გაჩაღდა, სიტუაცია შეიცვალა - აფხაზეთისადმი დაინტერესება გაიზარდა. თანამემამულეთა რეპატრაციის იმას ნიშნავს, რომ იმ განდევნილი ქართველების დაბრუნებაზე, რომლებიც აქ ასწლეულების განმავლობაში ცხოვრობდნენ, აფხაზეთში არავინ აღარ ფიქრობს.

„აფხაზეთის დედაქალაქის სანაპიროზე დამსვენებლებს ივრითადა თუ დაინახავთ, თუ ახლა, როცა ტურისტული სეზონის პიკია, აქ ბევრი ხალხი უნდა იყოს“, - აღნიშნულია სტატიაში. „გარეგნულად თითქოსდა დამოუკიდებელი კავკასიური რესპუბლიკა, რომელიც საქართველოს 1993 წელს გამოეყო და რუსეთის მორიგ კოლონიად გადაიქცა, ფაქტობრივად მხოლოდ ერთი მხრიდან არის გახსნილი - რუსეთიდან. ასევე ზულგაი აფხაზეთში სწორედ იქიდან შევიდა.

მოქცეული. სოხუმის პატარა ბუტიკში იგი ტანსაცმელს ყიდის როგორც თანამედროვე სტილის, ასევე მუსლიმან ქალებისათვის, რომლებიც ბოლო დროს მომრავლდნენ. საერთოდ, აფხაზეთის მოსახლეობის მეტ ნაწილს ქრისტიანები შეადგენენ, მაგრამ არავინ ყურადღებას არ აქცევს მათ დამოკიდებულებას მუსლიმანებთან. „ჩემთვის უმჯობესია, რუსული ენა ვისწავლო, რომ ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტი დავამყარო“, - მეუბნება არაბული შესახედაობის ქალი სუფთა ინგლისურ ენაზე. მისი თქმით, აფხაზეთი მისი წინაპრების სამშობლოა, მაგრამ მშობლებმა არ იციან ზუსტად, თუ სად ცხოვრობდნენ მათი პაპები და ბებები აფხაზეთში. ბუნდოვნად ახსოვთ, რომ წინაპრები წებულდას თემიდან არიან, მაგრამ ზუსტად არაფერი იცის: „ისინი აფხაზეთიდან რუსებმა გააქციეს, მაგრამ დღეს სიტუაცია შეცვლილია - რუსეთი აფხაზეთს ესმარება“.

ბირველად სირიელი აფხაზები ისტორიულ სამშობლოში 2012 წელს გამოჩნდნენ. იმ დროს აფხაზეთი მსოფლიოს ერთ-ერთ ქვეყანას მიეკუთვნებოდა, რომელიც სირიელი ღბოლვილები გულთბილად მიიღო. ქართველები, რომლებიც აფხაზეთში 1992 წლამდე ცხოვრობდნენ, პრივილეგირებულ ფენას მიეკუთვნებოდნენ - ეს მათი საცხოვრებელი სახლების ხედვითაც დასტურდება. ეს სახლები ცარიელი იყო, თანდათან ინგრეოდნენ და თავიანთ მდგომარეობით მხილველს 25 წლის წინათ მომხდარი კონფლიქტის ატმოსფეროს ასხენებდნენ. ახლა მათში ახალმოსახლებუნი ცხოვრობენ. რეპატრაციის აფხაზური ეროვნული კომიტეტი უფასოდ აძლევს ან ნაწილობრივ ფულს უხდის იმ მსურველებს, ვინც შესაბამის რეგისტრაციის შემდეგ ქართველების სახლებში ცხოვრებას მოისურვებს. მათ სამუშაოთაც უზრუნველყოფენ და აფხაზურ საზოგადოებაში ინტეგრირების საშუალებას აძლევენ, ბევრი მიგრანტი რუსულ ენას სწავლობს, აფხაზეთის სხვა მცხოვრებთან კონტაქტების მიზნით. ქართველების განდევნის შემდეგ აფხაზების რაოდენობა საერთო მოსახლეობის (240 ათასი) მხოლოდ 50%-ს შეადგენს. დანარჩენები რუსები, სომხები, ბერძნები არიან. 1992 წლის ომამდე აფხაზები საერთო მოსახლეობის (525 ათასი) 18%-ს შეადგენდნენ. ამბობენ, რომ ღბოლვილები აფხაზეთის მოსახლეობის სტატისტიკას აუმჯობესებს.







# გერმანულთა ოპონიები ქართულ პირტუოზებს

## „კამერტონი-საქართველო“ წარმატებული გასტროლი გერმანიაში

23 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე გერმანიაში დიდი წარმატებით გამართეს საგასტროლო კონცერტები საერთაშორისო პროექტ „კამერტონის“ საქართველოს წარმომადგენლობის ახალგაზრდა მუსიკოსებმა – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის სტუდენტებმა – გიორგი იოკაშვილი (კლარნეტი), სენდი ვართანოვა (ვიოლინო), ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეებმა – ილია ლომთათიძე (ფორტეპიანო), ბარბარე

და საგასტროლო გამოსვლები გერმანიის ქალაქებში. საგულსხმია, რომ ამ კამერულ ანსამბლებში მონაწილეობენ თბილისის სხვადასხვა სამუსიკო სასწავლებლების მოსწავლეები, თბილისის კონსერვატორიის სტუდენტები. 2014 წლიდან პროექტის მხარდაჭერა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროც. პროექტის მხარდაჭერი და ხელშეწყობა ევგენი მიქელაძის სახელობის თბილისის ცენტრალური სამუსიკო სას-

ში), რომლებშიც შეტანილი იყო მოცარტის, ვებერის, როსინის, შუბერტის, შოპენის, პაგანინის, ლისტის, ვენიავსკის, რაველის, მანეს, მილშტეინის, ხაჩატურიანის, ალექსი მაჭავარიანის, სულხან ცინცაძის, ვაჟა აზარაშვილის ნაწარმოებები.

„გადუჭარბებლად და მიუკერძოებლად შეიძლება ითქვას, რომ საგასტროლო ტურნემ დიდი წარმატებით ჩაიარა, გერმანული მსმენელები აღფრთოვანებით ეგებებოდნენ ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდების მიერ აუღერებულ ყოველ ნაწარმოებს, განსაკუთრებულ ინტერესს ავლენდნენ ქართველი კომპოზიტორების ალექსი მაჭავარიანის, სულხან ცინცაძის, ვაჟა აზარაშვილის ქმნილებების მიმართ, – ამბობს „კამერტონი-საქართველო“ მუსიკალური ხელმძღვანელი კირა ლელაშვილი, – მნიშვნელოვანი იყო ერთი ფაქტი – ყოველი კონცერტის წინ პროექტის დამფუძნებელი ლიუდმილა ფონ ბერგი მსმენელებს აცნობდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის საკითხებში სახელმწიფო მდივნის ბატონ მისაელ როტის „კამერტონი-საქართველო“ გასტროლისადმი განკუთვნილ ოფიციალურ მისასალმებელ სიტყვას. ბოლოს კი ბატონი მისაელი თავადაც ჩამოვიდა ბად ჰერსფელდში, გადატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად ქართველი ახალგაზრდები პირადადაც გაიცნო და მათ რეპეტიციასაც დაესწრო. ვსარგებლობ შემთხვევით და ასევე მადლობას ვუხდით ჰენის მინის წარმომადგენელს გერმანიის პარლამენტში ტორსტენ ვარნეკს, ბერლინის ევანგელური ეკლესიის ახალი საკონცერტო დარბაზის ხელმძღვანელს უგე იასპერტს, ფრიდესკირხეს დარბაზის ხელმძღვანელს საბინა მულას, ბად ჰერსფელდის საკონცერტო დარბაზის „ბას-ჰაუსის“ და საერთაშორისო ფესტივალის ხელმძღვანელს, პროფესორ ზიგფრიდ შპინრისს, რომლებიც ყურადღებას და რაც უმთავრესია, – თბილ სიტყვებს არ იშურებდნენ „კამერტონი-საქართველო“ მიმართ. მადლობა პირადად მიხეილ გიორგაძეს და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, რომლის თანადაფინანსებითაც გაემგზავრნენ ახალგაზრდები საგასტროლოდ.“

„კამერტონი-საქართველო“ წლების მანძილზე დაიმკვიდრა მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი, რასაც მონაწილე გერმანიაში, საქართველოში, სომხეთში გამართული კონცერტები, ერთობლივი შემოქმედებითი ინიციატივები, გამოსაშვრებები ქართულ და გერმანულ მედიაში და რაც უმთავრესია, მსმენელთა ის გულწრფელი სიყვარული, რომელიც თან სდევს ამ ახალგაზრდებს სამშობლოშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

ავთანდილ გამაშვილი



ლიუდმილა ფონ ბერგი, ილია ლომთათიძე, კირა ლელაშვილი, ბარბარე რიონიშვილი, სანდი ვართანოვა, გიორგი იოკაშვილი, უპე იასპერტი

როინიშვილი (ვიოლინო). „კამერტონი-საქართველო“ მუსიკალური ხელმძღვანელია პიანისტი კირა ლელაშვილი.

ორიოდე სიტყვით პროექტის თაობაზე – მერვე წელიწადია, რაც გერმანიაში საზოგადოებრივი ორგანიზაციის Eurocon.e.V-ის ეგიდით ფუნქციონირებს მოზარდთა, ახალგაზრდათა მუსიკალური განათლების განვითარების, კულტურის სფეროში თანამშრომლობისა და ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამების მხარდაჭერი საერთაშორისო პროექტი „კამერტონი“ (www.kammerton.eu). Eurocon.e.V-ის დამფუძნებელი და ხელმძღვანელია ქალბატონი ლიუდმილა ფონ ბერგი. პროექტ „კამერტონის“ მიზანია განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოზარდებისა და ახალგაზრდების ხელ შეწყობა და მხარდაჭერა, ახალგაზრდა კლასიკური მუსიკოსების საერთაშორისო კარიერის ჩამოყალიბება, მასტერკლასებისა და საკონცერტო გამოსვლების ორგანიზება, სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდა მუსიკოსების შემოქმედებითი ურთიერთობების დამყარება და განვითარება. პროექტის მხარდაჭერები არიან გოეთეს ინსტიტუტი, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ბერლინის სენატი და ა.შ.

„კამერტონის“ პარტნიორი ქვეყნების რიცხვს 2011 წელს საქართველოც შეემატა და მას შემდეგ რეგულარულად იმართება ქართველი ახალგაზრდებისგან დაკომპლექტებული კამერული შემადგენლობების კონცერტები საქართველოში

წავლებელიც (დირექტორი – გიორგი ქორქაძე), რომლის ბაზაზე მიმდინარეობს სარეპეტიციო სამუშაოები.

პროექტი „კამერტონი“ დიდად უწყობს ხელს ქართული საკომპოზიტორო და საშემსრულებლო სკოლის პროპაგანდას, პოპულარიზაციას საქართველოსა და გერმანიაში, ახალგაზრდების საშემსრულებლო რეპერტუარის გამდიდრებას ქართული და მსოფლიო შედევრებით, ახალგაზრდების საანსამბლო საშემსრულებლო ხელოვნების ხარისხის ამაღლებას, მათ საგასტროლო მოღვაწეობასა და შემოქმედებით წინსვლას.

„კამერტონი-საქართველო“ გერმანული მსმენელების წინაშე წლებულს 4 კონცერტზე წარსდგა მრავალფეროვანი პროგრამებით ბერლინში და ბად ჰერსფელდში (საერთაშორისო ფესტივალის ჩარჩოებში, საკონცერტო დარბაზში „ბას-ჰაუს-

### ტურისტების კონტროლის ახალი სისტემა

2021 წლიდან მოგზაურობისა და ავტორიზაციის შესახებ ახალი ევროპული საინფორმაციო სისტემა ამოქმედდება ევროპის საბჭომ ევროპული მოგზაურობისა და ავტორიზაციის საინფორმაციო სისტემის დადგენის რეზოლუცია (ETIAS) უკვე მიიღო.

თუმცა ძალაში შესვლამდე, რეზოლუციის საბოლოო ვერსიას ხელი უნდა მოაწერონ ევროსაბჭოსა და ევროპარლამენტში. საბოლოო ტექსტი ევროკავშირის ყურნალში გამოქვეყნდება და გამოქვეყნებიდან 20 დღეში ამოქმედდება. დაგეგმილია, რომ ETIAS ძალაში 2021 წლიდან შევა. სისტემა განკუთვნილია წინასწარი გამოკვლევისთვის იმ პირთათვის, რომლებიც არ არიან ევროკავშირის მოქალაქეები და აპირებენ ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლას.

სისტემის დანერგვის მთავარი მიზანი ევროკავშირის ქვეყნების შიდა უსაფრთხოების გაზრდა და უსაფრთხო იმიგრაციის თავიდან აცილებაა. ავტორიზაციის გავლა მოხდება ონლაინ, ღირებულება 7 ევრო იქნება და 3 წლის განმავლობაში იქნება მოქმედი.

### სანთელი

მეუღლე თინათინ ორჯონიკიძე, შვილები თამარ, დავით რუხაძეები, სიძე ზურაბ კიკნაძე, შვილიშვილები ანა, სოფიო კიკნაძეები, მზია ორჯონიკიძე, დები ნინო, მია, ძმა ოქროპირ რუხაძეები, ნუგზარ ბარამიძე, სერგო ძაგნიძე, მანანა თევზაძე, ლუიზა, თემურ რუხაძეები იუნყებიან

## სერგო ტრიფონის ქ რუხაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 11 IX, 14 საათზე, თბილისი, არაგვის ქ. №3.

### არდაპინყება

ჩვენს საზოგადოებას გამოაკლდა ღირსეული მამულიშვილი, პედაგოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგო ტრიფონის ქ რუხაძე. იგი დაიბადა 1940 წელს თბილისში. 1963 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1982 წელს გახდა პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი. აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებში. სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს თბილისის კონსერვატორიაში, თეატრალურ ინსტიტუტში, დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტში. იყო საქართველოს მთავალიტის განყოფილების უფროსი, მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.



მისი ხსოვნა მარად დარჩება მისი მეგობრების, კოლეგების და ყოფილი სტუდენტების გულში.

### მეგობრების ჯგუფი

გიორგი ნაჭყებია, ზურაბ ჯანიაშვილი, ვაჟა თვალავაძე, ბიჭიკო გველესიანი, ტიტე ზუხუა, რეზო, ვახტანგ ჩაფიძეები, ნელი სუხარევა, ეთერ ხუციშვილი, მილა პოპოვა, ნინო ხორავა, ლილი ბუხრაძე, დიანა აბულაძე, ნანა ტრიპოლსკი, ბეჟან ქუთათელაძე, ირა ვლადისლავსკაია იუნყებიან

## სერგო ტრიფონის ქ რუხაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს.

### სანთელი

ნაპოლეონ და თენგიზ ქარქაშაძეები ოჯახებით დიდი მწუხარებით იუნყებიან, შესანიშნავი ქალბატონის, წარჩინებული პედაგოგის, ჩვენი მამიდაშვილის

## ლიანა ლომთაძის

გარდაცვალებას.

ლეილა ვახტანგიშვილი მწუხარებით იუნყება

## ლიანა ლომთაძის

გარდაცვალებას.

ზურაბ მაჩაიძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს უახლოესი ნათესავის

## ბურამ კასიბაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს შვილს მანუჩარ კაციტაძეს და სანათესაოს. პანაშვიდი 11, 12 IX, გამოსვენება 13 IX, 14 საათზე, მისამართი კახეთის გზატკეცილის კორპუსი 21, გრიგოლ ხანძთელის ეკლესიის პირდაპირ.

სარედაქციო ფოსტიდან

„მამელუკის“ პატორი თათარიშვილია!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

ბატონებო! დიდი პატივისცემით მოგიხსენებთ ან განსვენებული თქვენი კოლეგის, ცნობილი ჟურნალისტის ბენი თათარიშვილის ოჯახის წევრები, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდი ხნის სიცოცხლეს თქვენს ქვამარიტად თქვენი გაზეთის მეშვეობით



სახალხო გაზეთთან ერთად გვინდა, რომ გამოვეხმაუროთ პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია კონდრატე თათარიშვილის (უიარაღლოს) გვართან. ზოგიერთი გამოცემლობა, ასევე ჟურნალისტიკით, ხშირ შემთხვევაში, ნებსით თუ უნებლიეთ, კონდრატე თათარიშვილს თათარიშვილად მოიხსენიებენ. მეტიც, საშუალო სკოლის ქართული ენის პროგრამაში ისწავლება „მამელუკი“, ხოლო ავტორად თათარიშვილის ნაცვლად მოიხსენიება „თათარიშვილი“.

კონდრატე თათარიშვილი
მამელუკი


რათა მომავალმა თაობამ იცოდეს „მამელუკის“ ავტორის ნამდვილი გვარი სწორად.

პატივისცემით - კონდრატე თათარიშვილის შთამომავალთა სახელით ბარინა თათარიშვილი, ნანა მხიმიძე და ჯულიანა ჩაბაპიაძე, სოფელ ძველი აბასთუმნის კ. თათარიშვილის (უიარაღლოს) სახლ-მუშევრის ყოფილი გამგე.

გამოცემა

ლიტერატურული ჟურნალი „ოლე“ №3

გამოვიღა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლე“ 2018 წლის მე-სამე ნომერი, რომელიც იხსენება ფარნა რაინას კატრენების მიმოხილვით. ბატონ ფარნას კატრენებს მიმოიხილავენ: მაყვალა მიქელაძე, ნანა რჩეულიშვილი, რამაზ მეფარიშვილი, ნუნუ ძამუკაშვილი და ნინო ლაჩაშვილი. „მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკაში დაბეჭდილია ვაჟა თათარიშვილისა და ეკა კვანტალიანის - პოეტური დუეტი, თემურ ტაბატაძის პოემა „ამაღლებზე“, ნინო კალანდაძის, ელგუჯა მარღიას, დარეჯან ჭანკოტაძისა და ცინარი ზახსოლიანის ლექსები, ასევე გივი ჩილდინაძის ლექსი - „როსტომ წერეთლის სიზმარი“, რომელმაც როსტომ წერეთლის სახელობის ლექსების კონკურსზე პირველი ადგილი დაიმსახურა, ამავე რუბრიკით გაცნობით: ნატალია ქადაგძის, ნინო ძამუკაშვილის, ვასილ ნადირაშვილის, მიაი კაკაურიძისა და ფარნაოზ რაინაშვილის (უმცროსი) პროზაულ ნაწარმოებებს; რუბრიკით „ქართული კლასიკური მწერლობა“ იხილავთ ნოდარ დუმბაძის ამონარიდებს სამშობლოზე; რუბ-



რიკაში „დოკუმენტური პროზა“ ნაიკიტხავთ ნინო დარბაისელის „მაგის ღირსია!“ და ივეტა პავლიაშვილი-დონსაძის „ვაჩუქოთ ერთმანეთს გულის სითბო და სიყვარული“; „თარგმანის“ რუბრიკაში ქვეყნდება ანა ახმატოვას ლექსები (მთარგმნელი ნინო დარბაისელი) და ტატიანა ტოლსტაიაას მოთხრობა „მამაზე“ (მთარგმნელი აკაკი დაუშვილი); რუბრიკით „განსხვავებული თვალსაზრისი“ იბეჭდება

„რამყენი“ კოცონი

რუსეთის ქალაქ უფის მცხოვრებმა აიდარ ხაიდულინმა მოწყობილობა გამოიგონა, რომლითაც მობილური ტელეფონის დატენვა კოცონის ალიდან შეიძლება! - მართალია, ნოუთუკის დატენვა ჯერჯერობით ვერ ხერხდება, მაგრამ ტელეფონებს, პლანეტებს, ფოტოაპარატებს, GPS-ნავიგატორებს, ფიტნეს-ტრეკერებსა და სხვა გაჯეტებს, რომლებიც 5 ვოლტამდე სიმძლავრის ბატარებზე მუშაობენ, მოწყობილობა თავისუფლად ტვირთავს, - ამბობს გამომგონებელი. თავად დატენვის დრო აკუმულატორის ტევადობაზეა დამოკიდებული, მაგალითად, სმარტფონი, საშუალოდ, საათნახევარში იტენება, ანუ იმდენივე ხანი სჭირდება, რამდენიც ქალაქის ქსელიდან.

იციოთ თუ არა, რომ...

...ერთმანეთის გვერდიგვერდ მწოლიარე შეყვარებულთა გულისცემისა და სუნთქვის სისხირის დათვლისას მეცნიერებმა დაადგინეს, რომ გარკვეული დროის შემდეგ მათი გულები უნისონში ფეთქვას იწყებენ, სუნთქვა კი სინქრონული ხდება?
...ლუი პასტერის აზრით, სასმელებს შორის ყველაზე ჰიგიენურია ღვინო?
...ელვების მბრძანებელი სკანდინავიური ღმერთის ტორის ემბლემა სვასტიკაა?
...უსცხოეთში მოგზაურთა 20-50 პროცენტი მწვავე დიარეას (კუჭის აშლილობას) უწივის?
...ქალის „ბალზაკის ასაკი“, რომელიც მე-19 საუკუნეში „საშუალოს გადაცილებულად“ ითვლებოდა, 30 წელია?
...ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, უძილობას დედამინაზე მოსახლეობის 40 პროცენტი უწივის, 15 პროცენტს ეს სწეულდება ქრონიკულად სჭირს?
...დუბაის პოლიციაში მიმდინარეობს კომპანია Hoversurf-ის წარმოების მფრინავი მოტოციკლის ტესტირება?
...შავი და მწვანე ჩაი - ესაა ერთი და იგივე მცენარის ფოთლები, განსხვავება კი მათ შორის მხოლოდ გამოშრობის მეთოდებშია?
...ჩვენი ემოციური მდგომარეობის 50 პროცენტს განაპირობებს გენეტიკა?
...ჰარვარდის ფსიქოლოგთა ჯგუფმა დაადგინა, რომ გონებრივი შესაძლებლობები და პროფესიული ჩვევები წარმატების მიღწევის მხოლოდ 25 პროცენტს უზრუნველყოფს, დანარჩენი 75 პროცენტი კი საკუთარი ძალების რწმენასა და ადამიანებისადმი სიმპათიაზე ყოფილა დამოკიდებული?



სახიოეთო სეჩიარები

ბილესირიალით ზედმეტად გაცხებას შეუძლია ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემების წარმოშობა, - აცხადებენ ამერიკელი და ბელგიელი მეცნიერები, რომლებმაც 400 სტუდენტი გამოკითხეს. გამოკვლევაში მონაწილე მონასლისეებს მკვლევართათვის უნდა ეამბნათ, თუ რამდენ დროს უთმობენ ტელეფონის ნაწილების ცქერას და ამის შემდეგ როგორ გრძობენ თავს. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 80 პროცენტი ელოდება თუ როდის გამოვა საყვარელი სერიალის მომდევნო სერიები და 10-12 ეპიზოდს ზედიზედ უყურებენ. ამასთან, რესპონდენტთა მესამედს სერიალის ნახვის შემდეგ რამდენიმე დღის, ზოგჯერ კვირების მანძილზე ძილთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდათ. გარდა ამისა, სერიალების მოყვარულებს ადენიწვნებათ შენელებული რეაქცია, მეხსიერების გაუარესება და უჭირთ გარემოში ორიენტირება.

ყურადღება! რედაქციას ესაჭიროება გაზეთის პროფესიონალი დამკაბადონებელი. დაგვიკავშირდით: 599-79-76-79.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA
ქოსტავას ძ. №21
მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 299-02-10 599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიარაშვილი 599 53-76-16; ალექს ასლანიშვილი 599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიაძე 514 33-33-24
გამომცემლობა: შპს „თანადრომ -1“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება გამომცემლობა „ქოლორ პრესში“ რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაქ)070.4(479.22) ს-323
ISSN 2233-3851
ავტორთა სახურადღებოდ!
რედაქციის მთავარი შეუკვეთავი მასალაბი დანიებაღება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებაბი, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ფაქტბაბის სიზუსტბაზე პასუხს აბეებენ ავტორბაბი.

დახმარების მხარებათა საყურადღებოდ
ნებისმიერი ოდენობის თანხა შეგიძლიათ, ჩაურიცხოთ რედაქციას შემდეგ ანგარიშზე: №GE19TB760-153602010009. (შპს „ახალი საუკუნე“).

Table with subscription rates: შსხოური პალუტის კარსი; აშუ ღოლარი - 2.6126; პირი - 3.0395; ბრიტანული ბირვანა სტერლინბი - 3.4019; 100 რუბლი - 3.9028; თურქული ლირა - 0.40387; აზერბაიჯანული მანატი - 1.5414; 1000 სომხური დრამი - 5.3979. აქილი 11 სექტემბრისთჟი: აქონსაპალი საქართველო: ბარბი - ლაბი +14, ლღი +31; შთინი რაიონი - ლაბი +10, ლღი +27; დასაპალი საქართველო: ბარბი - ლაბი +14, ლღი +26; შთინი რაიონი - ლაბი +9, ლღი +27; თბილისი: ლაბი +19, ლღი +31. დაბიკაქი, ოვბნაქი: ტკლ: 299-02-10, 599-79-76-79. კლ. უოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge